რკ „იორლენდი“

საგარეჯოს რაიონი, ყანდაურის მიწები
წვეთოვანი სარწყავი სისტემის

სკრინინგის ანგარიში

კომპანიის დასახელება	რკ „იორლენდი“
საიდენტიფიკაციო კოდი	405370799
მდებარეობა	საგარეჯოს რაიონი, ყანდაურას მიწები
დაგეგმილი საქმიანობა	ბაღის გაშენება
გასაშენებელი ბაღის ფართობი	18.3 ჰა
საქმიანობის სახე	სარწყავი სისტემის მოწყობა
დირექტორი	ნათია ჯანჯღავა
საკონტაქტო ტელეფონი	593 93 81 18

2020 წ.

შესავალი

რკ „იორლენდი“ ს/კ: 405370799 ფლობს ბაღს (საკადასტრო კოდი 55.34.52.050) და აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია 18.3 ჰა ფართობზე სამელიორაციო სისტემის მოწყობასთან, ექვემდებარება სკრინინგის გადაწყვეტილებას. ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში.

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ:

- საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ

საქმიანობის მოკლე აღწერას, კერძოდ, ზოგად ინფორმაციას:

- საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ
- ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების, მისი სახეების და მასშტაბების შესახებ

დოკუმენტში წარმოდგენილია საპროექტო მილსადენის გაყვანილობის რუკა.

ასევე, ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით, ბუნებრივ გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ.

ანგარიში შესრულებულია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სკრინინგის ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს ექსპლუატაციის პროცესში გამოყენებული ტუმბოს მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია (მოდელი, სიმძლავრე), საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო ნახაზი.

ზოგადი ცნობები

რეგისტრირებული კოოპერატივი „იორლენდი“ საგარეჯოს რაიონში, სოფელ კაზლარში, (საკადასტრო კოდი: 55.34.52.050) ფლობს მიწის ნაკვეთს და აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. გასაშენებელი ბაღის დაგეგმილი ფართობი ჯამურად შეადგენს 18.3 ჰა-ს.

ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

სარწყავი წყლის აღება ხდება მდინარე იორიდან, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ბორბალოსთან, ზღვის დონიდან 2600 მ სიმაღლეზე. ივრის სიგრძეა 320 კმ, აუზის ფართობი — 4650 კმ². წყლის საშუალო ხარჯი შესართავიდან 43 კმ-ში 12 მ³/წმ. საზრდოობს ძირითადად თოვლისა და წვიმის წყლებით.

ბაღის მოსარწყავად იგეგმება წვეთოვანი მორწყვის ქსელის მოწყობა. (იხილეთ რუკა #1) სარწყავი სისტემა წყლით მომარაგდება მდინარე იორიდან. აღნიშნული ნაკვეთიდან, მდინარე იორი დაშორებულია 138.8 მეტრით. მილსადენის ტრასის სიგრძე კი შეადგენს 560.61 მეტრს.

წყლის მოხმარებული მოცულობა წელიწადში შეადგენს **172.020 კუბურ მეტრს.**



რუკა #1. რკ “იორლენდის” წვეთოვანი სარწყავი სისტემის გეგმარება

1. მდინარე იორიდან მილსადენის სათავე (x - 4600713,573 y - 552594,471)
2. მილსადენის ტრასა
3. აუზი (x - 4600707,077 y - 552132,074)

მდინარიდან წყალი 90 მმ. დიამეტრის მქონე მილით, ელექტრო ტუმბოს საშუალებით მიეწოდება შემკრებ რეზერვუარს. შემკრები ავზიდან წვეთოვანი სარწყავი სისტემის საშუალებით მოხდება მცენარეთათვის წყლის მიწოდება.

მდინარე იორიდან წყლის ამოტუმბვა უნდა მოხდება ელექტრო ტუმბოს საშუალებით, რისთვისაც საჭიროა ელექტროენერგიის მიყვანა მდინარემდე, გათვალისწინებულია რომ ელექტროენერგიის კაბელი სამმაგი იზოლაციით გაუყვეს იმ მილს რომლითაც უნდა მივიღოთ წყალი. ელექტრო ტუმბოს მონტაჟისთვის არ იგეგმება არანაირი კონსტრუქციის მოწყობა.

ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე

საპროექტო ტერიტორია მოქცეულია ყორუღის აღკვეთილში (რომელიც თავის მხრივ შედის მარიამჯვრის ეროვნული პარკის შემადგენლობაში). აღკვეთილის საერთო ფართობი 2 068 ჰა ს შეადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა აღკვეთილის ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორისა და ფაუნის სახეობების შესწავლაზე.

საველე სამუშაოები ჩატარებულ იქნა 2020 წლის 28-29 თებერვალს.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიაზე ძირითადად წარმოდგენილია აგროლანდშაფტი და მდინარისპირა ჭალის ტყე (იხ. სურათი #1.#2). კვლევის შედეგად საპროექტო ტერიტორიაზე (მდინარისპირა ჭალის ტყეში) გამოვლინდა სახეობები, რომელიც მოცემულია ცხრილ #1.

N	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	საქართველოს წითელი ნუსხა
1	*Populus canescens*	ვერხვი	-
2	*Populus nigra*	ოფი	-
3	*Salix excelsa*	ტირიფი	-
4	*Alnus barbata*	მურყანი	-
5	*Quercus pedunculiflora*	ჭალის მუხა	VU
6	*Crataegus sp.*	კუნელი	-
7	*Paliurus spina-christi*	ძეძვი	-
8	*Tamarix ramosissima*	იალღუნი	-
9	*Rosa canina*	ასკილი	-
10	*Eleagnis angustifolia*	ფშატი	-

11	*Rubus anatolicus*	მაყვალი	-
12	*Smilax excelsa*	ეკალღიჭი	-
13	*Periploca graeca*	ღვედკეცი	-
14	*Humulus lupulus*	სვია	-
15	*Botriochloa ischaemum*	ურო	-

#1 ცხრილში მითითებული სახეობებიდან არცერთი მათგანი არ დაექვემდებარება ჭრას ან გადაბელვას. იქიდან გამომდინარე რომ აღკვეთილის ტერიტორიაზე მილის განთავსება იგეგმება მიწის ზემოთ, ტერიტორიაზე არ მოხდება არანაირი ტექნიკის შეყვანა, შესაბამისად ადგილი არ ექნება ხე-მცენარეების ტექნიკით რაიმე ტიპის დაზიანებას.

საპროექტო ტერიტორია მდინარე იორს უკავშირდება უკვე არსებული საფეხმავლო ბილიკი, რომელიც გამოყენებული იქნება მილსადენის განთავსების დერეფნად. (სურათი #3). ბილიკის არეალში წარმოდგენილია ძირითადად ისეთი ბუჩქოვანი და ლიანა მცენარეები როგორებიცაა: კუნელი (*Crataegus sp.*), ასკილი (*Rosa canina*), ეკალღიჭი (*Smilax excelsa*), ღვედკეცი (*Periploca graeca*). რაც შეეხება მერქნიან მცენარეებს ვხვდებით ვერხვსა (*Populus canscens, P. nigra*) და ტირიფს (*Smilax excelsa*), ბილიკის არეალში არ ექნება ადგილი ხე-ბუჩქის ტოტების შემოჭრას, გადაბელვას ან რაიმე ტიპის დაზიანებას.

სურათი N1. ჭალის ტყე

სურათი N2. აგროლანშაფტი
სურათი N3. სარწყავი მილის დერეფანი

ლიტერატურული მიმოხილვის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულია ცხოველთა შემდეგი სახეობები: გარეული ღორი (*Sus scrofa*), კურდღელი (*Lepus europaeus*), მგელი (*Canis lupus*), ტურა (*Canis aureus*), ლელიანის კატას (*Felis chaus*), წავი (*Lutra lutra*), ხოხობი (*Phasianus colchicus*), მწყერი (*Coturnix coturnix*), ბექობის არწივი (*Aquila heliaca*), მცირე მყივანი არწივი (*Clanga pomarina*), ქედანი (*Columba palumbus*) და სხვა. თუმცა განხორციელებული საველე კვლევის ფარგლებში, ადგილისთვის დამახასიათებელი სახეობებიდან მხოლოდ გარეული ღორის ნაკვალევი (*Sus scrofa*), შაშვი (*Turdus merula*) და მინდვრის ტოროლა (*Alauda arvensis*) იქნა ნანახი.

საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე დაცულ ტერიტორიაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე დაგეგმილი სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო, რადგან მდინარე იორიდან წყალაღება მოხდება მიწისზედა მცირე დიამეტრის (90 მმ) მქონე მილების საშუალებით, რისთვისაც საჭირო არ იქნება რაიმე ტიპის ტექნიკის გამოყენება. შესაბამისად ადგილი არ ექნება ხმაურს და ჰაბიტატის ფრაგმენტაციას.

წყლის მოხმარებული მოცულობა წელიწადში შეადგენს **172.020 კუბურ მეტრს.** წყლის ამოტუმბვა მოხდება მდინარე იორის კალაპოტიდან ელექტრო ტუმბოს საშუალებით.

გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით ცვალებადია:

თვე	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო
მოცულობა	3.660 მ^3	27.450 მ^3	51.240 მ^3	45.750 მ^3	43.920 მ^3

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სხვა ბუნებრივ რესურსს საწარმო არ იყენებს.

საქმიანობის პროცესში გამოყენებული წყლების ჩაშვება წყალსატევებში არ წარმოებს.

წყლის შემკრები რეზერვუარის მოცულობა შეადგენს 7 500 კუბურ მეტრს. აღნიშნული რეზერვუარი იქნება მიწისზედა ნაგებობა.

ნიადაგის დაცვის კუთხით, წარმოქმნილი საქმიანობის შედეგად არ არსებობს რისკ-ფაქტორები. ვინაიდან, მდინარე იორიდან ნაკვეთამდე მილის განთავსება იგეგმება მიწის ზემოთ. (მდინარიდან ნაკვეთამდე მანძილი შეადგენს 138.80 მეტრს). ნაკვეთის ტერიტორიაზე შემოსული მილი უნდა დაუკავშირდეს შემკრებ რეზერვუარს, აღნიშნული მილის განთავსება იგეგმება მიწის ქვეშ. ტრანშეის (60X40) გაჭრის დროს მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მილსადენების ჩაწყობის შემდეგ უკუმიეყრება გათხრილ ტერიტორიას. გარდა ამისა მიწისქვეშა კომუნიკაციების ზემოთ შესაძლებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება.

ნაკვეთი უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 3.5 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. შესაბამისად მოსახლეობაზე რაიმე სახის ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში არ ხდება არავითარი გაფრქვევა რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.

საქმიანობის შედეგად არ წარმოიქმნება არანაირი სახის ნარჩენი, მათ შორის ადგილი არ აქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენის წარმოქმნას.

რეგიონი მდიდარია კულტურული, ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. რეგიონში მრავლადაა ეკლესია-მონასტრები, არამატერიალური კულტურული ძეგლები. გარდა ამისა რეგიონი წარმოადგენს ტურისტულად დატვირთულ რეგიონს. აღნიშნული ღირსშესანიშნაობები საპროექტო ტერიტორიის ზონაში არ ხვდება რაც გამორიცხავს ისტორიულ-კულტურულ გარემოზე ზეგავლენას.

დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მომსახურე პერსონალის და სხვა ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

რკ „იორლენდის“ საქმიანობა დადებითად აისახება სოციალურ გარემოზე.

რკ „იორლენდის“ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს.

მის.: ქ. თბილისი, მ.ალექსიძის #6

ტელ.: 593 93 81 18

სკრინინგის ანგარიში შემუშავებულია საკონსულტაციო კომპანია „გრინ სტეპს“-ის მიერ.

27/04/2020

დირექტორი

დიანა ბერია